GREEN CLIMATE FUND

საქართველოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის საინფორმაციო

სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი

Schweizerische Eidgenossenschaft
Confédération suisse
Confederazione Svizzera
Confederaziun svizra

Swiss Agency for Development and Cooperation SDC

Sverige

UNDP

კლიმატის ელჩები „ინერცია“

ჯგუფი „ინერცია“ მწვანე ბანაკში „კლიმატის ელჩები“ შეიქმნა. ჩვენი მიზანია კლიმატის ცვლილებით გამოწვეული კატასტროფების რისკის შემცირება წინანდალში, ხოდაშენში, ჰერეთისკარში, ზემო ალვანში, მაღრაანსა და აწყურში მცხოვრები უფროსკლასელების ჩართულობით, წყალდიდობის, სეტყვისა და ძლიერი ქარის შესახებ.

ჩვენი პროექტის მთავარი სამიზნე აუდიტორიაა ადგილობრივი თემის წარმომადგენლები და ახალგაზრდები.

ჩვენ უკვე განვახორციელეთ შემდეგი აქტივობები:

- შევქმენით ჯგუფის „ინერციის" გვერდი, სადაც განვათავსებთ საინფორმაციო პოსტებსა და განხორციელებულ/დაგეგმილ აქტივობებს;
- ჩავატარეთ სემინარი კონდოლისა და წინანდლის მე-9, მე-11 კლასის მოსწავლეებთან თემაზე - „კლიმატის ცვლილებით გამოწვეული კატასტროფები“.

პროექტის ფარგლებში განსახორციელებელი გვაქვს შემდეგი აქტივობები:

- დაგეგმილი გვაქვს ონლაინ შეხვედრა ახმეტის მუნიციპალიტეტის და ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების რეინჯერთან;
- ვქმნით საინფორმაციო ბუკლეტებს წყალდიდობის, სეტყვისა და ძლიერი ქარის დროს ქცევის წესების შესახებ;
- ვატარებთ ფოტო და ესე კონკურსს თელავის ახმეტისა და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების ახალგაზრდებისათვის;
- ვქმნით QR კოდებს, სადაც განვათავსებთ წყალდიდობის, სეტყვისა და ძლიერი ქარის დროს ქცევის წესების შესახებ ტექსტურ და ვიდეო მასალას, რომელიც მომზადებულია „ინერციისა“ და გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის მიერ.

პროექტის შედეგები:

პროექტის დასრულების შემდეგ თელავის, ახმეტისა და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდები და მთლიანად თემი უფრო დაცული იქნება კლიმატის ცვლილებით გამოწვეული კატასტროფებისგან. ასევე, ვიმედოვნებთ, რომ პროექტი ახალგაზრდებს ინტერესს აღუძრავს დეფიციტურ პროფესიებზე, მდგრად განვითარებაზე, მის მნიშვნელობასა და აუცილებლობაზე.